



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KFW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი #2
თებერვალი, 2021 წელი

ვაიო

სოფელი აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში

მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 380 მეტრ სიმაღლეზე, მევენახეობის ოაზისად წოდებული სოფელი ვაიო მდებარეობს. სოფელში მეღვინეობისა და მევენახეობის მიმდინარეობა ფართოდაა განვითარებული. ძირითადად გავრცელებულია ჩხავერის, ალადასტურის, ცოლიკაურის და საფერავის ვაზის ჯიშები.

სოფელ ვაიოში, ოჯახებისთვის მრავალმხრივი განვითარების და ფინანსური შემოსავლის წყაროს შესაძლებლობა არსებობს, რასაც გაუმართავი კომუნალური ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად აფერხებს. სოფლისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხების ეფექტური გადაჭრა დაგეგმილია აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში. სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის, ოთარ ლორთქიფანიძის თქმით: „აქ მშრომელი ხალხია და ჩვენ ვარსებობთ მიწით. მიწაზე ვართ დამოკიდებული. ყურძენი, თამბაქო, ჩაი, ხეხილი გაგვაქვს ბაზარზე და ამით ვარსებობთ ეს 117 კომლი, დაახლოებით 530 მოსახლე.“

„პროექტს გავლენა ექნება არამარტო წყლის და კანალიზაციის (წყალარინების) საკითხებზე, არამედ სოფლის მეურნეობაზე, ტურიზმზე, მეღვინეობაზე. პირადი გამოცდილებით შემოძლია გითხრათ, რომ ყურძენი მაქვს ყოველწლიურად დაახლოებით 5-7 ტონა, გამართული წყლის სისტემის შემთხვევაში, შევძლებდი მცირე მარნის და რამდენიმე კოტეჯის მოწყობას რაც დამატებით შემოსავალი იქნებოდა ოჯახისთვის. მაგალითად, გასულ წელს ერთმა ოჯახმა 9 ტონა ცოლიკაურის ყურძენი მოკრიფა, თუმცა მოუწია ამ ყურძნის სრულად ჩაბარება სხვა მარნისთვის, წყლის არ ქონის გამო, ელემენტარული სისუფთავის ნორმების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. ეს პროექტი მნიშვნელოვანია რადგან სოფელი გაძლიერდება.“

ამ ეტაპისთვის სოფელ ვაიოში, დანარჩენი 38 სოფლის მსგავსად, წყალმომარაგების სისტემები ფრაგმენტული და გაუმართავია, წყალარინების ჩადინება კი პირდაპირ ბუნებაში ხდება - „ჩვენთან სოფელში წყლის სისტემა სრულიად მოუგვარებელია, ყველა ოჯახს მისი წყალი ყავს მოყვანილი სხვადასხვა მცირე წყაროებიდან, რომელიც ხშირად არასტაბილურია. ამ წყალს ავსებენ რეზერვუარებში და იყენებენ.“

გაუმართავი წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები მნიშვნელოვნად აზიანებს როგორც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას, ისე გარემოს - „ვაიოში უკვე გვაქვს რამდენიმე ფაქტი, როცა წყლის არაყაირათიანად და ცუდად გამოყენების გამო, მოხდა მიწების ეროზია, რის გამოც გარკვეულ ოჯახებს მოუწია ტერიტორიიდან გასახლება. ამ 2-3 მოსახლის ფინანსური კომპენსირება და სახლების შეძენა სახელმწიფოს მიერ მოხდა.“ „კანალიზაციის (წყალარინების) ბუნებაში პირდაპირი ჩაშვების გამო, სოფლის გარკვეული ადგილები ძალიან დაბინძურებულია. ქმნის გარკვეული ავადმყოფობის რისკსაც.“

პროგრამის პირობას, მოსახლეობა აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის დაგეგმვის და განხორციელების ნაწილში, ვაიოში მხარს უჭერენ - „წყლის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია სოფლისთვის, სოფელი მზადაა ფიზიკურად ჩაერთოს პროექტში. მრიცხველების საკითხთან და პროგრამასთან დაკავშირებით, სოფელში უკვე ყველა ინფორმირებულია. ყველაფერი ფუჭდება, და სამომავლოდ მიღების დაზიანების შემთხვევაში ხომ დაგვჭირდება თანხა? წყლის მრიცხველის საფუძველზე დარიცხული და შეგროვებული თანხა იქნება გარანტი რომ მიღების შეძენას და შეკეთებას შევძლებთ.“



ზოგადი ინფო ნებისმიერი საინფორმაციო ბიულეტენისთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრებით. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KfW



აჭარის წყლის
ალიანსი

Ajara Rural Water and Wastewater Treatment Programme

Newsletter N2
2021 February

VAIO

VILLAGE IN AJARA, IN THE MUNICIPALITY OF KEDA

On the left bank of the river Ajaristskali, at an altitude of 380 meters, lies the village of Vaio, called a viticultural oasis. The field of winemaking and viticulture in the village is widely developed. Chkhaveri, Aladasturi, Tsolikauri and Saperavi vine varieties are mainly spread.


"In the village of Vaio, there is a potential for multifaceted development and a source of financial income for the families, which is severely hampered by unorganised communal infrastructure. An effective solution of water supply and wastewater for the village is planned within the framework of the rural water supply and wastewater treatment programme - Ajara. According to one of the villagers, Otar Lortkipanidze: "There are hardworking people here and we live with the land. We depend on the land. We bring grapes, tobacco, tea, fruits to the market and we, 117 households, about 530 inhabitants live with it.

"The project will have an impact not only on water and wastewater, but also on agriculture, tourism, winemaking. From personal experience I can tell you that I harvest about 5-7 tons of grapes a year, in case of a proper water system, I would be able to arrange a small wine cellar and several cottages which would be an additional income for the family. For example, last year one family harvested 9 tons of Tsolikauri grapes, but had to sell these grapes to another wine cellar, due to lack of water, unable to meet the simple hygiene norms. This project is important because the village will be strengthened."

At this stage, in the village of Vaio, like the other 38 villages, the water supply systems are fragmented and unorganized, and wastewater is discharged directly into nature. "The water system in our village is completely unresolved, every family brings water from various small sources, which is often unstable. They fill the reservoirs with this water and use it.

"Malfunctioning water supply and sewerage systems significantly damages both - human daily life and the environment - "We already have several cases in Vaio where the land was eroded due to improper use of water, which forced some families to abandon the area. "Financial compensation of these 2-3 families and purchase of houses was done with the help of the government." "Due to the direct discharge of wastewater into the nature, certain parts of the village are polluted. This creates a risk of illness."

"The population's active involvement in the program planning and implementation, as the the program prerequisite, is supported in Vaio - "The water issue is so important for the village, the village is ready to be physically involved in the project. Everyone in the village is already informed about the program and water meters. Everything gets broken; in the future, if the pipes get damaged, we will need money; won't we? The money received from the water meter based billed and collected money will guarantee that we will be able to buy and repair the pipes. "



General Information for any Informative Bulletin

"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and the EU funds.

The Programme aims to create the modern standard water supply and waste water treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is the unique in Georgia with its potential to influence the water supply and waste water infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge